გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 12
(11 366)

11 – 14 თებერვალი, 2000 წ.    ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დაიწყო შემობრუნება ქართულ ფეხბურთში?!



წლეულს სფფ-ს პრეზიდენტი პირველად წარსდგა მასმედიის წინაშე და საკმაოდ საინტერესო, საჭირბოროტო თემებზეც გვესაუბრა თავის კაბინეტში. როგორც ჩანს, მერაბ ჟორდანია დიდად კმაყოფილია ჩვენი ეროვნული გუნდის კვიპროსული ტურნეთი – პრეზიდენტმა პრესკონფერენცია სწორედ ნაკრებზე საუბრით დაიწყო და წარმატებულად შეაფასა ტანდემის მეთაურობით შემდგარი დებიუტი. შემდეგ კი მის და გენსეკ ვალერი ჩოლარიას ვოიაჟებზეც მოგვითხრო.

„მოსკოვში შეხვედრა გვქონდა ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან. როგორც იცით, ფიფა ყოველ ოთხ წელიწადში მილიონ ამერიკულ დოლარს დაურიგებს თავის წევრ ასოციაციებს, რისთვისაც ფედერაციებს პროგრამები უნდა წარედგინათ მისთვის. ჩვენ ყოველივე ამისთვის მზად ვიყავით და პირველი 250 000 უკვე მივიღეთ. ეს თანხა ჩვენი ფედერაციის ახალი ოფისის და ნაკრებისთვის ბაზის მშენებლობას მოხმარდება. ფიფამ აგრეთვე შეიმუშავა პროგრამა „გოლი". ეს პროგრამა ითვალისწინებს არამდიდარი ფედერაციების ფინანსურ დახმარებას, რის შესახებაც გვქონდა კიდეც საუბარი ბლატერთან. გადაწყდა, რომ „გოლის" ოფისი მოსკოვში

იხ. მე-2 გვ.

## მოდავეებს სასამართლო მოარიგებს?

### ის, რაც თავის დროზე მარეგისტრირებელმა ორგანომ მიაფუჩეჩა, დღეს თავში საცემი გამხდარა

კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უპირველესი სახელმძღვანელო დოკუმენტი, მათივე წესდებაა. დაწერ ამ დოკუმენტს ჰაიჰარად და შემდეგ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, აბსურდად მოგეჩვენება ბევრი რამ, სულაც რაღაც-რაღაცეებზე გვერდია ავლილი და იძულებული ხდები სასამართლოში არკვიო, რაც დაუზუსტებელ – დაუკონკრეტებელი დარჩა, ვინც მის შედგენას თავიდან ხელი მოჰკიდა. ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია ასეთი სახელმძღვანელო აქტების მიღება-დამტკიცების კულტურის დონე, ხშირად გვერდს უვლიან იურისტებს, მაგრამ იქ, სადაც რეგისტრაციაში გაატარეს, საოცარია, რატომ არ კითხულობენ და არ მიუთითებენ შეუსაბამო ლაფსუსებზე დოკუმენტის წარმდგენს?



ა. ბოქორიძის ნახატი.

ასეა თუ ისე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წესდება ისეთი აბდა-უბდა რამ ყოფილა, კაციშვილი აზრს ვერ გამოიტანს სადავო საკითხებზე. ეს შესაძლებლობას აძლევს დაპირისპირებულ მხარეებს თავისებურად განმარტონ ქვეტექსტები. განსაკუთრებულ დავას იწვევს საკითხი ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შემთხვევაში თუ ვინ უნდა გაუძღვეს ფორუმს, სულაც, გამგეობის სხდომაზე თუ მისი წევრების გარკვეული ნაწილი ხელმძღვანელის გადაყენებას მოითხოვს, ვინ უნდა უხელმძღვანელოს კრებას და ა.შ. ფედერაციის პრეზიდენტი – ზურაბ აზმაიფარაშვილი აცხადებს, რომ ის ვიდრე მოქმედი ხელმძღვანელია, რჩება თავის უფლებებში და სხდომის გაძღოლის უპირატესობას არავის დაუთმობს. დაპირისპირებული მხარე კი წესდების იმ ჩანაწერს განმარტავს თავის სასარგებლოდ, სადაც მითითებულია, რომ თუ პრეზიდენტისთვის ყრილობის გაძღოლა შეუძლებელია, იგი უნდა წაიყვანოს ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პრეზიდენტს, როცა უცხადებენ უნდობლობას, არ უნდა დაიკავოს თავყრილობის წამყვანის სავარძელი? არა, არ ნიშნავსო, – აცხადებს ზურაბ აზმაიფარაშვილი და ჯერჯერობით მის ამ განცხადებას არგუმენტირებულად ვერავინ აბათილებს. ის, რომ ვითომ „შეუძლებლობაში" მხოლოდ ავადმყოფობა არ იგულისხმება, აზრის ინტერპრეტაციას უფრო მოგვაგონებს. როგორც ჩანს, ეს საკითხიც სასამართლოს გასარკვევი იქნება. სასამართლოში ზურაბ აზმაიფარაშვილი უფრო მნიშვნელოვანი საკითხის წამოწევასაც აპირებს, კრებოდ, რამდენად კანონიერია რიგგარეშე ყრილობის მოწვევა იმ საბაბით, რასაც ოპოზიცია იშველიებს დასაყრდენად.

ამ და სხვა საკითხებზე მრავალსაათიანი შეხლა-შემოხლა დაფიქსირდა ფედერაციის გამგეობის სხდომაზე.

გუშინ შევიტყვეთ, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილს სარჩელი სასამართლოში ჯერ არ შეუტანია და შეიძლება არ შეიტანოს.

მიმომხილველი

## GOAL – პროექტი ფეხბურთის მომავლისათვის

### რა არის ეს პროგრამა?

სახელი მართლაც შთამბეჭდავია — „გოლი". ასეთი ტიტული იმ განვითარების პროექტს ხვდა წილად, რომელიც ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის ბეჭდის დასმით განხორციელდება და რომელიც მიზნად ისახავს ფიფას ღარიბი წევრი-ასოციაციების მხარდაჭერას. 2000-დან 2004 წლამდე 342 მილიონი განაწილდება, რათა ფეხბურთს მთელს მსოფლიოში კარგი მომავალი ჰქონდეს...

როცა 1996 წლის 3 ივლისს გადაწყდა, რომ მსოფლიოს 2002 და 2006 წლის ჩემპიონატების ტელეტრანსლაციის უფლებებს ფიფა 2,8 მილიარდ შვეიცარიულ ფრანკად გაყიდდა, ბევრმა ეს ორგანიზაცია მონსტრად წარმოიდგინა. მაგრამ მეორე დღესვე, ფიფას 50-ე კონგრესზე მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟოაო ავილანჟმა განაცხადა, რომ ყოველ ოთხ წელიწადში თითოეული წევრი ასოციაცია მილიონ დოლარს მიიღებდა. გავიდა ორი წელიწადიც და ამ პერსპექტივას ხორცი შეესხა. დიდი ინიციატივა ამ იდეის განხორციელებაში ბლატერის მრჩეველმა მიშელ პლატინიმაც გამოიჩინა, შეუერთდა რა ფიფას პრეზიდენტის მოწოდებას: „ფეხბურთი ყველასათვის", რაც იმას გულისხმობს, რომ ხალხს მიეცეს შანსი ითამაშონ ფეხბურთი განურჩევლად იმისა, თუ როგორ ქვეყანაში ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ფულის განაწილების პროცედურა ერთი ხელის მოსმით არ განხორციელდება. ფიფამ ინფორმაციის შეგროვება-შესწავლა დაიწყო და გამოჰყო 80 ყველაზე ღარიბი ქვეყანა, რომლებსაც ზემოხსენებული მილიონი დოლარის გარდა კიდევ გამოეყოფათ თანხები. სფფ, როგორც ჩანს, სწორედ ამ რვა ათეულიან ცხრილში მოჰყვა ანუ პროგრამა „გოლში". ამ პროგრამისთვის ფიფა აპირებს 10-12 ოფისის დაფუძნებას ტერიტორიული პრინციპით, რომელთან პერმანენტული კონტაქტი ექნებათ ეროვნულ ასოციაციებთან.



მაჩანჩალა ქვეყნებში სუსტი საფეხბურთო მეურნეობით გულწრფელად გულაჩუყებული გახლავთ ლეგენდარული ვარსკვლავი — მიშელ პლატინიმ ლიბერიაში ვიზიტისას არც ნორჩებს დასწყვიტა გული.

## სალიცენზიო ტურნირები

### ჯერჯერობით საქმე ცუდად არ მიდის



ჩვენი ფალავნები აგრძელებენ მოახლოებული ოლიმპიური თამაშებისათვის ლიცენზიის მოსაპოვებლად მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში. ამ დღეებში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანეში ასპარეზობდნენ. ეს ტურნირი რიგით მეორე იყო იმ 5 ტურნირიდან, რომლის საბოლოო შედეგებით (სამი ტურნირის საუკეთესო მაჩვენებელი) I-VII ადგილზე გასულები მიიღებენ სიდნეიში გამოსვლის უფლებას. ჩვენი წარგზავნილებიდან ამჯერად მესამე ადგილზე გავიდა მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე, რომელიც წინა ტურნირში (იტალია) მე-7 იყო. კობა გულიაშვილი (57 კგ), რომელსაც პირველ ტურნირში ბრინჯაოს მედალი ხვდა, ამჯერად მე-5 ადგილზე გავიდა. მწვრთნელებმა აკაკი ჩაჩუა, რომელსაც აქტივში მე-4 ადგილი და წინსვლის პერსპექტივა ჰქონდა, ავადმყოფობის გამო შმაგი გოქაძით (63 კგ) შეცვალეს. ამ სპორტსმენმა კი ტურნირში მხოლოდ X ადგილზე გასვლა შეძლო, ხოლო გიორგი ჭინჭველაშვილი ვერც ადრე და ვერც ამჯერად ათეულშიც ვერ მოხვდა. ორი ტურნირის ჯამში გიორგაძე მეორეა, გულიაშვილი — მესამე, ჩაჩუა — მეექვსე.

მომდევნო მესამე ტურნირი 18-20 თებერვალს გაიმართება ტაშკენტში. გთავაზობთ მთავარი მწვრთნელის ბეგი დარჩიას კომენტარს: „ჩაჩუა ვერც მესამე ტურნირში გამოვა, მის მონაწილეობას მეოთხე ტურნირში ვგეგმავთ. გოქაძემ 10 ქულა მოიპოვა და ფაქტობრივად იგი ჩაჩუას დაემატა. წესი ასეთია: ქვეყანა კონკრეტულ წონაში აგროვებს ქულებს და უფლება აქვს ამ წონაში მონაწილენი ცვალოს. მომდევნო ტურნირში ჩაჩუას წონაში (63) უკვე თბილისელ ლევან ოდიშარიას წავიყვანთ. მთავარია ამ წონაში ქულები არ დავკარგოთ. ჭინჭველაშვილს მოვამზადებთ ევროპის ჩემპიონატისთვის და იქ იბრძოლებს ლიცენზიის მოსაპოვებლად. ეს უფრო რეალურად გვესახება მწვრთნელთა საბჭოს და ფედერაციას. სალიცენზიო ტურნირებზე ამ ათლეტს წონის დაკლება ზედიზედ მოუწევდა, ევროპის ჩემპიონატზე კი ერთხელ მოუწევს ამ პროცედურის ჩატარება".

## ხოზის კომპლექსი გასხვისდა – ინვალიდთა ლიგას გადაეცა!

*ხობიდან მიღებული ინფორმაცია ალმაშფოთებელი იყო, აქაოდა, უნიკალური სპორტული კომპლექსი, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო მთელს საქართველოში, ხელაღებით გაიყიდაო. რედაქციაში წესად გვაქვს გადავამოწმოთ ყოველი ასეთი ინფორმაცია. ჯერ ის დავადგინეთ, რომ ხობის კომპლექსი პროფკავშირული ქონება ყოფილა. შემდეგ ინვალიდთა ლიგის ხელმძღვანელობას შევეხმიანეთ.*

*– კომპლექსი საზოგადოებრივ საკუთრებაში გადმოგვეცა ფუნქციის შენარჩუნებით. ხობელებისთვის მომსახურება უფასო იქნება. ეს ბაზა გაპარტახებული ჩავიბარეთ შარშან. სტადიონი უკვე გავარემონტეთ. სასტუმროში და სათავსოებში ლტოლვილები ცხოვრობენ, ახლა მათ სხვაგან გადაყვანაზე ვზრუნავთ და საერთო რემონტსაც დავიწყებთ. მთავარი ამოცანაა მოვახდინოთ ინვალიდთა სპორტისა და, საერთოდ, სპორტული მუშაობის ინტეგრაცია დევიზით: „სპორტი – ყველასათვის!", – გვითხრა ინვალიდთა სპორტული ფედერაციის თავმჯდომარემ დათო მაისურაძემ.*

*სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაჩნია, რომ მათთან და ქონების მართვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად, ხობის სპორტული კომპლექსი, მისი უწყებრიობის მიუხედავად, არ უნდა გასხვისებულიყო.*

## სპორტი – ყველასათვის!



ბრიტანეთის სამეფოს მემკვიდრე პრინცი ჩარლზი ( №4) „პოლოთია" გატაცებული

## წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში სპორტის განვითარებასა და ახალგაზრდა კადრების აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კადრების განყოფილების უფროსს ***გივი ჯანელიძეს*** მიანიჭა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

## მილოცვა

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ამავე სამმართველოს მთავარ სპეციალისტს ***ივანე ჯანაშვილს.***

**ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი –1.9800 ლარი.**

## რევანში პორტუგალიელებთან



საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო გამოსვლა ევროპის ეროვნებათა თასის გათამაშებაში. პირველი შეხვედრა გაიმართა პორტუგალიაში, რომელთანაც, გახსოვთ ალბათ, ჩვენს ნაკრებს ადრინდელი უსიამოვნო მოგონებები აკავშირებს. ახლა ქართველები რევანშისთვისაც იყვნენ განწყობილნი და, მიუხედავად იმისა რომ მატჩის პირველი ნახევარი დათმეს (6:12), საბოლოოდ შემართებული თამაშით სასურველ შედეგს მიაღწიეს — მეტოქე 32:30 დაამარცხეს. მატჩის მიწურულს გამარჯვების ქულა თავისიანებს ლევან ცაბაძემ მოუტანა.

ახლა ჩვენი ნაკრები ფრთებშესხმული მოემზადება მაროკოს და ესპანეთის გუნდებთან შესახვედრად. ესპანელებმა ამ ტურში 32:8 მოუგეს ჰოლანდიელებს. ქართველი სპეციალისტები ამბობენ, რომ ესპანელები პორტუგალიელებზე ძლიერები სულაც არ არიან და მათთან წარმატების იმედსაც იტოვებენ.

ძიუდო არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი



# ვის ელოდებით, რაიონებო?

## ანუ დროა ყველამ მიბაძოს საგარეჯოელებს...

სპორტულ ბაზას თუ გულისხმიერი და პრინციპული ხელმძღვანელი ჰყავს, უპატრონობით არ გაჩანაგდება, სამწუხარო მაგალითები კი დღეს, იშვიათობა არაა. საგარეჯოს სპორტული დარბაზი „ნგრევის ეპოქაში" უვნებელი გადარჩა და ეს მისი კომენდანტის გელა თედიაშვილის უდიდესი დამსახურებაა. ახლა, ეს სპორტული კერა არათუ თბება და ცხელი წყალიც აქვს, არამედ, იქ ჩასულ სტუმრებსაც აბინავებენ სუფთა და თბილ ოთახებში.

ამ დღეებში სპორტულმა ბაზამ არსენ მეკოკიშვილის სახელობის საიუბილეო 25-ე ტურნირს უმასპინძლა ძიუდოში. შეჯიბრებაში ჩაერთო 150-მდე მოჭიდავე თბილისიდან, გორიდან, ხაშურიდან, კასპიდან, დუშეთიდან, მცხეთიდან, რუსთავიდან, გარდაბნიდან, მარნეულიდან, დედოფლისწყაროდან, გურჯაანიდან, ახმეტიდან, თელავიდან, საგარეჯოდან. ტურნირის მთავარი სპონსორი იყო არსენ მეკოკიშვილის ვაჟი გიორგი, რომელსაც მხარში დაუდგნენ, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების მედლის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ ქურხული, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვალიკო ოდიკაძე.

აქვე ვიტყვით: მთავარი პრიზი – არსენ მეკოკიშვილის სახელობის თასი მოიპოვა წარსულში ცნობილი ფალავნის დურმიშხან ბერუაშვილის შვილიშვილმა გორელმა დურმიშხან ბერუაშვილმა.

2 1 3
კვარცხლბეკი

*42 კგ:* 1. დათო გასუმბანი (საგარეჯო), 2. გიორგი შოშიაშვილი (თბილისი), 3. კახა მამულაშვილი (კასპი), უჩა ხუციშვილი (თბილისი); *46 კგ:* 1. ალექსანდრე გიგაური (თბ.), 2. ალექსანდრე კუზონაშვილი (საგარეჯო), 3. მათე მათიაშვილი (მარტყოფი), დათო ქავთარაძე (დუშეთი); *50 კგ:* 1. ვაჟა კოტორაშვილი (პატარძეული, პირველი მწვრთნელი გივი ეპიტაშვილი), 2. რეზო ბაჩიშვილი (საგარ.), 3. გიორგი ახალაური (თბ.), ვასილ ნიჟარაძე (გარდ.); *55 კგ:* 1. ლექსო შაქარაშვილი (საგარ.), 2. ბადრი ბახოშვილი (გურჯ.), 3. დათო სვიმონიშვილი (საგარ.), ლექსო ღვთისაშვილი (თელავი), *60 კგ:* 1. არჩილ შათირიშვილი (ახმეტა), 2. ზაზა კედელაშვილი, 3. შალვა ტუღოშვილი (ორივე – თბ.), დათო უძილაური (თელავი); *66 კგ:* 1. ჯარჯი ფოთოლაშვილი (თელავი), 2. გიორგი ბაინდურაშვილი (თბ.), 3. შოთა დურგლიშვილი (გორი), რევაზ ჩიკოიძე (თბ.); *73 კგ:* 1. ლევან წიკლაური, 2. მალხაზ ოსაძე (ორივე – თბ.), 3. გიორგი შინჯიკაშვილი (მარტყოფი), გიორგი წიკლაური (თბ.); *81 კგ:* 1. თედო აბელაშვილი, 2. დავით შეშაბერიძე (ორივე – თბ.), 3. შალვა კონიაშვილი (საგარ.), ზურაბ უძილაური (ახმეტა); *90 კგ:* 1. ვალერი კაციაშვილი (თბ.), 2. ლევან ტიგინაშვილი (საგარ.), 3. ჯემალ ქამხალაძე (თბ.), ალეკო მღებრიშვილი (თბ.). *მძიმე:* 1. დურმიშხან ბერუაშვილი (გორი), 2. ლევან გუჯეჯიანი (თბ.), 3. გიორგი კორახიშვილი (მარტყოფი), დიმიტრი ტურაშვილი (საგარ.).

**ბივი ეპიტაშვილი**
„ლელოს" საკ. კორ.,
საგარეჯო (სოფ. პატარძეული).

# ქართული გვარ-სახელები ქართულ სპორტში

## იაკობ ახუაშვილის გამოკვლევის მიხედვით



**გურიელი**. გურიელების ადრინდელი გვარი ვარდოსანიძე ყოფილა. საქართველოში 2076 ვარდოსანიძე ცხოვრობს (ზესტაფონი – 502, თბილისი – 377, ტყიბული – 286). ვარდოსანიძეები გურიის თავადები იყვნენ, და მათმა განაყოფმა გურიელობა გაიგვარეს. XVIII საუკუნეში გურიელებს გამოეყვნენ მაქსიმესაშვილები (იგივე მაქსიმიაშვილი, მაქსიმეიშვილი, მაქსიმელაშვილი; იხ. იოანე ბატონიშვილი). გურიელები ხშირად გურიელ დადიანებადაც იწოდებოდნენ. გურიელის გვარს დღეს 160 ადამიანი ატარებს (თბილისი – 53; წალენჯიხა – 43; ზუგდიდი – 41). ქართულ სპორტში ამ გვარიდან ყველაზე ცნობილია მოჭადრაკე – ნინო გურიელი – დიდოსტატი.

# ? შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გთხოვთ განგვიმარტოთ საიდან წარმოსდგება სიტყვა „მუშკეტერი" და რატომ უწოდებენ დღეს მუშკეტერებს მოფარიკავეებს?

*ვახტანგ სალხინაშვილი, თბილისი*

**პასუხი: მუშკეტერი არის საბრძოლო იარაღი – ძველებური პატრუქიანი მსხვილკალიბრიანი თოფი, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ევროპის ქვეყნები თავიანთ შეიარაღებაში XVI-XVII საუკუნეებში, ძირითადად ქვეით ჯარში. ჯარისკაცების ხელჩართულ ბრძოლებში ხმლით ჩაერთვებოდნენ ხოლმე მუშკეტერები ანუ მუშკეტით შეიარაღებულები და ფარიკაობის სინონიმადაც ასე იქცა ეს სიტყვა.**

## იშვიათი მოვლენა

### თბილისის იპოდრომზე ფაშატმა ორი კვიცი დაბადა, მაგრამ...

წმინდა სისხლის ინგლისური ჯიშის ფაშატმა, რომ ორი კვიცი დაბადოს, ძალზე იშვიათი, თითქმის უცნობი მოვლენაა. ეს უცნაური ფაქტი ამ დღეებში დაფიქსირდა თბილისის იპოდრომზე. ფაშატი მშობიარობას გადაურჩა ვეტერინარის დახმარებით, მაგრამ ორივე ახალშობილი კვიცი, სულ რაღაც რამდენიმე საათში დაიღუპა.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა სააღრიცხვო ბარათის მოსაწესრიგებლად და ახალი მოწმობის მისაღებად, გთხოვთ, მობრძანდეთ ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42. ტელ. 99-08-22, 99-94-09). თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი.*

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.*

# SOS

# ჩოხატაურში რომ ლელობურს დაივიწყებენ...

## სპორტის ეროვნული სახეობები სტატისტიკიდან ქრება



ჩვენი ქვეყნის რაიონებიდან მიღებულ სტატისტიკურ ანგარიშებს თვალი რომ გადაავლოთ, გული შეგეკუმშებათ, აბსოლუტურ უმრავლესობაში ცარიელია ის გრაფები, სადაც ჩვენი ეროვნული საუნჯე – სპორტის ხალხური სახეობები აღირიცხება. ცხადია, არც სპორტის საერთაშორისო, ე.წ. კლასიკურ სახეობებს ულხინთ, მაგრამ ისინი ჯერჯერობით, ოდინდელი მასობრიობით არა, მაგრამ მაინც არსებობენ, სექციები კი ძირითადად სპორტული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარჯზე მოდის.

ჩოხატაური, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ლელობურთის უთვალსაჩინოესი ცენტრი იყო საქართველოში. აქ რესპუბლიკის პირველობებიც ხშირად იმართებოდა, თავად ჩოხატაურელებს კი არაერთხელ ღირსეულად და სიამაყით უზეიმიათ საქართველოს ჩემპიონობა. ლელობურთი იმდენად პოპულარული იყო, რომ ჯერ ზონალური შეჯიბრებები იმართებოდა საუკეთესოთა გამოსავლენად.

უკვე 10 წელიწადზე მეტია საქართველოს პირველობა ლელობურთში აღარ ჩატარებულა. ფედერაციის კვალსაც ვერავინ მიაგნებს. თუმცა, კიდეც რომ მიაგნო, რად გინდა, რა უნდა მოსთხოვო. ცხოვრების სიდუხჭირემ ყველაფერი დაამცრო და გარიყა, ყველაფრის ხალისი წაართვა ადამიანებს, მაგრამ ერთი რამ ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს: სპორტის ეროვნული სახეობები ჩვენს წინაპრებს დალხინებული ცხოვრებისთვის არ შეუქმნიათ, პირიქით, მუდამ შეჭირვებაში მყოფნი სულიერი და ფიზიკური მხნეობისთვის, თვითდამკვიდრებისა და საკუთარ ძალებში დაჯერებისათვის, სიცოცხლის რწმენისათვის გადიოდნენ საასპარეზოდ და ამით შესანიშნავ მაგალითს აძლევდნენ ახალგაზრდობას.

ჩვენ, ჩვენ რა მაგალითს ვაძლევთ მომავალ თაობას?

# ნაღდი ოქროს მედლები ლიანა გოგოლაძის ხსოვნის ტურნირზე...

## სამთოთხილამურები



5 თებერვალს – ლიანა გოგოლაძეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ახალგაზრდებში, 60-იანი წლების ქართველ საუკეთესო სამთო-მოთხილამურე ქალს – 57 წელი შეუსრულდებოდა; სწორედ, ამ დღეს ბაკურიანის პარკში გამართული ტურნირი გიგანტურ სლალომში (ძირითადად ამ სახეობაში ასპარეზობდა) მისი სახელობისა გახლდათ. სიმბოლური დამთხვევაა – შეჯიბრებაზე ზუსტად 57-მა მონაწილემ მოიყარა თავი რვა ასაკობრივ ჯგუფში.

1987-1988 წ.წ. დაბადებულ გოგონათა შორის მხოლოდ სამი მონაწილე იყო და, ცხადია, საპრიზო ადგილები მათვე გაინაწილეს. ორი ცდის ჯამში – 42,8 წარმატება მანანა წერეთელს ხვდა, თამუნა ქურციკიძე (50,9) მეორე იყო, თეა თედიაშვილი (53,5) – მესამე.

8 გოგონა გამოდიოდა 1989-1990 წლებში დაბადებულთა შორის. ორივე სერიაში საუკეთესოდ იასპარეზა ანა აბრამიშვილმა (43,4), მას ბორჯომის საგადასახადო ინსპექციის პრიზი გადასცა თემურ გიორგაძემ გოგონათა შორის საუკეთესო შედეგისთვის. მეორე ადგილზე ლიანა გოგოლაძის შვილიშვილი, ქუთაისის №4 სკოლის მე-5 კლასელი ანა ხერხაძე გავიდა (48,1), მესამე იყო – საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ლეონიდ ბანდურის შვილი – ანა (48,2).

პატარებში (1991-1992 წ.) ერთადერთი მონაწილე ხატია გვარამაძე იყო (50,2).

1993-1994 წ. დაბადებულ ჭაბუკთა ასპარეზობაში (11 მონაწილე). ორი ცდის ჯამში იმარჯვა თბილისის 53-ე სკოლის I კლ. მოსწავლემ გიორგი გელაშვილმა. მან ტრასა ორივეჯერ ერთნაირ დროში (23,0) გაიარა. გამარჯვებულს 0,9 წამით ჩამორჩა ბიძაშვილი ჯაბა გელაშვილი, მესამე იყო ბაკურიანელი გიორგი ხუციშვილი (52,8).

ამ დღეს პირველად მოსინჯეს ძალა ბაკურიანელებმა 4 წლის ნიკუშა კოზანაშვილმა, ზაურ ბანდურმა, 6 წლის გიორგი მიქაბერიძემ, გარი ჯანიძემ, ალექსი ჯეირანაშვილმა, ზურიკო ზედგენიძემ...

1991-1992 წ. დაბადებულ ჭაბუკებში ბადალი არ ჰყავდა კოტე ვახტანგიშვილს (40,7) – ცნობილი ძოციგავის კახა ვახტანგიშვილის ვაჟს, მეორე დრო აჩვენა გოგოლაძეების დინასტიის წარმომადგენელმა გიორგი გოგოლაძემ (43,7); მესამე ადგილზე გავიდა ასევე, ცნობილი მოთხილამურეების ნელი ომიაძისა და იური ოგანეზოვის შვილიშვილი გიორგი გიორგაძე – 44,9.



გიორგი თედიაშვილი

1989–1990 წ. დაბადებულთა შორის (ორი ცდა) ადგილები ასე განაწილდა: 1. ნუგზარ კიკნაძე – 38,8. 2. ვახტანგ თედიაშვილი – 41,0; 3. გიორგი თოფაძე (თბ. სკოლა "ჯეჯილის" მე-4 კლ. მოსწავლე) – 41,1. გოგი თოფაძის ვაჟის, მოთხილამურე ლევანის შვილი.

1985-1986 წ. დაბადებულთა შორის როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე დაწინაურდა ირაკლი ნასყიდაშვილი, მან ორივე ცდაზე სტაბილური დრო 18,2 და 18,2 აჩვენა და პირველობაც არავის დაუთმო – 36,4; მეორე ადგილზეა ვასიკო ებრალიძე – 36,8; მესამეზე – ბეჟან მიქაბერიძე – 37,6.



ლიანა გოგოლაძის შვილიშვილი ანა ხერხაძე

ლიანა გოგოლაძის სახელობის ტურნირისათვის სპეციალურად დაიბეჭდა სიგელები, საგვარეულომ, მისმა ახლობლებმა და მეზობლებმა – მერაბ ასათიანისა და ნანა წერეთლის ოჯახებმა სპეციალური საჩუქრები (II და III ხარისხის მედლები), ხოლო თვით ლიანას ვაჟმა გამარჯვებულები საგანგებოდ თავისი ხელით გაკეთებული (იგი ოქრომჭედელია) ოქროს მედლებით დააჯილდოვა.



სანდრო თავხელიძე (მარცხნივ) და გიორგი თოფაძე

ეს დღე კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო იმისა, რომ შთამომავლობა არ ივიწყებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ღირსეული კვალი დატოვეს ქართულ სპორტში.

დიახ, ლიანა გოგოლაძე „ეს მოცეკვავე ვარსკვლავი" (ასე უწოდებდნენ მას) – 5 თებერვალს ბაკურიანის პარკში კვლავ ჩვენს „გვერდით იმყოფებოდა".

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
ბაკურიანი, „ლელოს" საკ. კორ.

# დაიწყო შემობრუნება ქართულ ფეხბურთში?

*(პირველი გვერდიდან)*

დაიდებს ბინას. ჩვენ ამას მხარი დავუჭირეთ, რადგან რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ფიფასთან მუშაობაში, თანაც რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს.

შემდეგ გავემგზავრეთ გერმანიაში, სადაც გერმანული ფეხბურთის 100 წლისთავთან დაკავშირებით დიდი ღონისძიება ჩატარდა. შევხვდი გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ეგიდიუს ბრაუნს, ვიცე-პრეზიდენტებს შმიდტსა და ბეკენბაუერს. მინდა აღვნიშნო, რომ გერმანელებთან კარგ ურთიერთობებს ჩვენი ფედერაციის წინა ხელმძღვანელობამ ჩაუყარა საფუძველი. ძლიერი ფედერაციების მიერ ნაკლებად განვითარებული ეროვნული ასოციაციების დახმარებას საკმაო ტრადიციები აქვს და გერმანიის საფეხბურთო კავშირიც მზად არის დაეხმაროს სფფ-ს. თუ რა სახით იქნება ეს, ჯერ გაურკვეველია და ამ ორ ფედერაციას შორის სამუშაო შეხვედრით გადაწყდება.

შევხვდით „ტელესპორტის" წარმომადგენლებს. როგორც იცით ეს ფირმა ფლობს საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებს ტელეტრანსლაციების უფლებას. თავიდან უკმაყოფილონი კი ვიყავით კონტრაქტის რამდენიმე პუნქტით, თუმცა ახლა, მთლიანობაში ყველაფერი ნორმალურადაა, ბევრი საკითხი ჩვენს სასარგებლოდ მოგვარდა. შეხვედრის შედეგად ისიც გადაწყდა, რომ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა ანაზღაურებას თავის თავზე „ტელესპორტი" აიღებს – ეს სფფ-სთვის სერიოზული თანხის დაზოგვაა. დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი ნაკრებების სპონსორობის საკითხი. გაფორმდა კონტრაქტი ცნობილ ფირმა „ლოტოსთან". ეს სფფ-ს პირველი ხელშეკრულებაა უშუალოდ ეკიპირების მწარმოებელ ფირმასთან, შუამავლის გარეშე. „ლოტო" ჩვენთვის 0,5-დან 1,6 მილიონ დოლარს გასცემს. 0,5 მილიონი დოლარის ღირებულების ფორმის კომპლექტებს სფფ სამი წლის განმავლობაში მიიღებს.

აპრილში უნდა გაიმართოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფედერაციების შეხვედრა. ჯერ არაა გადაწყვეტილი თუ რომელ ქვეყანაში ჩატარდება, მაგრამ ვიცით, რომ საამისოდ უეფა სამ კანდიდატურას განიხილავს: რუსეთი, უკრაინა და საქართველო. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, რადგან ასეთი შეხვედრის მასპინძლობა, დამეთანხმებით, საკმაოდ პრესტიჟული და ბევრისმთქმელია.

მსურს კვლავ დავუბრუნდე ნაკრების გამოსვლას კვიპროსზე. დღესდღეობით გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა. პრესის საშუალებით მსურს მადლობა გადავუხადო მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს. განსაკუთრებით გამოვყოფდი ა. არველაძეს, ქეცბაიას, ნემსაძეს, სიჭინავას... ზაზა ჯანაშიამ მოუმზადებლობის გამო ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ მომავალში ყველა დაინახავს თუ რისი გაკეთება შემიძლია ნაკრებისთვისო. ჩვენც, რა თქმა უნდა, ამ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ვამყარებთ. და საერთოდ, თუ ადრე ნაკრებში გამოძახებას ფეხბურთელები ხალისით არ ხვდებოდნენ, ახლა ყველაფერი პირიქითაა.

აპრილში სტარტს აიღებს ბავშვთა ლიგის გათამაშება. გადავწყვიტეთ რეგიონული ფედერაციების ფულადი დახმარება. ჯერ ყველა ფედერაციას ერთნაირად დავაფინანსებთ, მერე კი იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ გამოიჩენს თავს. ბოლოს, სამწუხარო ინფორმაციაც უნდა გაუწყოთ – ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი ფიფადან გარიცხეს."

მონოლოგის შემდეგ, პრეზიდენტს ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გაცემაც მოუწია.

● ***სფფ-ს ანგარიშზე კვლავ ყადაღა ადევს. ამ მხრივ თუ არის რაიმე სასიკეთო ძვრები?***

– ყადაღის საკითხზე ხაზის გასმა აღარ ღირს. საგადასახადო ინსპექციასთან ერთად უკვე მიგნებულია გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

● ***როგორც ვიცით, ფიფამ 80 მილიონი დოლარი გამოჰყო პროგრამა „გოლისთვის". რამდენს მიიღებს სფფ და იქნება თუ არა ფიფას ამ პროგრამით გაწეული დახმარება უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს მიერ სფფ-სთვის გამოყოფილ თანხაზე უფრო მეტი?***

– ამის შესახებ ფიფას გადაწყვეტილებას ველოდებით, რის შემდეგ პროგრამა „გოლის" მიერ გამოყოფილ თანხას აუცილებლად გაცნობებთ.

● ***„ტელესპორტთან" კონტაქტის პირობების შეცვლის შედეგად რამდენს მიიღებს სფფ ჩვენი ნაკრების იტალიასთან და სხვა მეტოქეებთან მატჩების ტელეტრანსლაციებისათვის?***

– კომერციული მხოლოდ იტალიასთან მატჩი იქნება და მისი ტრანსლაციისათვის „ტელესპორტი" 1200 000 დოლარს გადაგვიხდის. დანარჩენი თითოეული მატჩისათვის კი 20 000 დოლარს.

● ***რამდენს გადაუხდის „ტელესპორტი" ჩვენს მწვრთნელებს?***

– ამ კითხვაზე მწვრთნელებთან შეუთანხმებლად ვერ გიპასუხებთ.

● ***რომელი ქართული ტელეკომპანია გადასცემს ნაკრების და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს?***

– უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ტელეტრანსლაციის უფლება ფული ღირს. კარგად გვესმის სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობა, რასაც, რა თქმა უნდა, ანგარიშს გავუწევთ.

● ***ეროვნული სტადიონის განათების პრობლემა როგორ მოგვარდება?***

– ჩვენ კატეგორიულად გაგვაფრთხილეს განათების გაუმჯობესების თაობაზე. არსებობს ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუცია, თბილისის მერია გარანტიას გვაძლევს, რომ განათება შესაბამისი სტანდარტების იქნება. მოგეხსენებათ, სფფ ეროვნული სტადიონის გარკვეული აქციების მფლობელია და ჩვენი სტადიონის კეთილმოწყობისათვის უფრო მეტი დავხარჯეთ ვიდრე აქციების პროცენტული რაოდენობით გვმართებდა. თანაც ფიფა-უეფა თანხების მიზნობრივად გამოყენებას მოითხოვს ჩვენგან.

● ***თქვენ გერმანიის ფეხბურთის ასწლიანი იუბილე ახსენეთ, ქართულ ფეხბურთსაც ხომ საუკუნოვანი ისტორია აქვს...***

– რა თქმა უნდა... ჩვენ შევქმენით ქართული ფეხბურთის ისტორიის შემსწავლელი კომისია მამუკა კვარაცხელიას თავმჯდომარეობით. როცა ეს კომისია მუშაობას დაასრულებს, სერიოზული ღონისძიების ჩატარების გადაწყვეტილებას აუცილებლად მივიღებთ.

**დათო თავართქილაძე**

## ამბები ● NEWS ● ამბები ● NEWS

# ბავარიელები ფარმაცევტებს გაეყარნენ

### გერმანიის ჩემპიონატი ● XIX ტური



**ულმი – მიუნხენი 3-0**
*გოლები:* ოტო, 4 (1-0) ვან დერ ჰაარი, 15 (2-0) შარინგერი, 72 (3-0)

**კაიზერსლაუტერნი – ჰანზა 2-2**
*გოლები:* არვიდსონი, 11 (0-1), აგალი, 73 (0-2), პეტერსონი, 85 (1-2), კომლიენოვიჩი, 86 (2-2)

**შალკე – ვერდერი 3-1**
*გოლები:* სანდი, 6 (1-0) აილტონი, 33 (1-1) მპენზა, 46 (2-1), სანდი, 83 (3-1).

**ჰერტა – არმინია 2-0**
*გოლები:* პრეეცი, 52 (1-0) პრეეცი 75 (2-0)

**შტუტგარტი – ჰამბურგი 1-3**
*გოლები:* იებოა, 63 (0-1), იებოა, 66 (0-2), ენდრესი, 67 (1-2), მაჰდავიკია, 89 (1-3).

**დუისბურგი – უნტერჰახინგი 2-0**
*გოლები:* ჰაიტო, 14 (1-0) რაისი, 20 (2-0)

**ვოლფსბურგი – დორტმუნდი 1-0**
*გოლი:* რიშე, 44

**აინტრახტი – ფრაიბურგი 2-0**
*გოლები:* სობოტჩიკი, 32 (1-0), მუტცელი, 81 (2-0)

**ბაიერნი – ლევერკუზენი 4-1**
*გოლები:* ჰოფმანი, 2 (1-0, ავტოგოლი), ეფენბერგი, 45 (2-0), შოლი, 56 (3-0), ბალაკი, 65 (3-1), ციკლერი, 90 (4-1)



ტურის ცენტრალურ მატჩში „ბაიერნმა" თავის უახლოეს მდევარ „ბაიერს" უმასპინძლა. ლევერკუზენელთა გვემას წერტილი ალექსანდრ ციკლერმა (მუქ მაისურში) დაუსვა

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 19 | 12 | 4 | 3 | 37-14 | 40 |
| ლევერკუზენი | 19 | 10 | 7 | 2 | 33-22 | 37 |
| ჰამბურგი | 19 | 9 | 8 | 2 | 42-20 | 35 |
| ვერდერი | 19 | 8 | 5 | 6 | 37-28 | 29 |
| მიუნხენი | 19 | 8 | 5 | 6 | 29-26 | 29 |
| დორტმუნდი | 19 | 7 | 7 | 5 | 24-15 | 28 |
| ჰერტა | 19 | 7 | 7 | 5 | 25-28 | 28 |
| შალკე | 19 | 6 | 9 | 4 | 26-22 | 27 |
| შტუტგარტი | 19 | 8 | 3 | 8 | 22-22 | 27 |
| კაიზერსლაუტ. | 19 | 8 | 3 | 8 | 24-32 | 27 |
| ვოლფსბურგი | 19 | 7 | 6 | 6 | 25-31 | 27 |
| ფრაიბურგი | 19 | 6 | 5 | 8 | 26-25 | 23 |
| უნტერჰახინგი | 19 | 6 | 5 | 8 | 19-22 | 23 |
| ულმი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-27 | 22 |
| ჰანზა | 19 | 5 | 6 | 8 | 25-38 | 21 |
| დუისბურგი | 19 | 3 | 7 | 9 | 20-33 | 16 |
| აინტრახტი | 19 | 4 | 2 | 13 | 19-28 | 14 |
| არმინია | 19 | 2 | 5 | 12 | 14-35 | 11 |

## ტოტენჰემი გაძლიერებას აპირებს

მადრიდის „ატლეტიკოს" ჰოლანდიელი ბომბარდირი ჯიმი ჰასელბაინკი შესაძლოა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში" გადავიდეს. ინგლისური კლუბის მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა ამის დიდი სურვილი გამოთქვა. ორი წლის წინათ გრემი „ლიდსის" თავკაცი იყო და სწორედ მაშინ გადაიყვანა ჰასელბაინკი „ბოავიშტადან". ჰოლანდიელი მაშინ 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი ღირდა, ახლა მისი ფასი სულ ცოტა – რვაჯერ მეტია. მადრიდული კლუბის რეაქცია, ჯერჯერობით უცნობია.

## რებროვი არჩევანის წინაშე...

უკრაინის ნაკრების და კიევის „დინამოს" ფორვარდ სერგეი რებროვზე გრანდები ნადირობენ. მას „ჩელსი", არსენალი", „მილანი", „ბარსელონა" და „გლაზგო რეინჯერსი" ეპატიჟებიან. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი აქტიურობენ და მზად არიან 19 მილიონი გადაიხადონ. კიეველთა ხელმძღვანელობის ცნობით, რებროვი სეზონის ბოლომდე არაფრის დიდებით არ გაიყიდება. შემდეგ კი, ვნახოთ.... უცხოური კლუბებისგან შეხმიანება კიევის „დინამოს" სხვა ფეხბურთელებსაც არ აკლიათ.



სერგეი რებროვი

## მიხაილოვიჩი ორი კვირით დაისვენებს

სერია A-ს ბოლო ტურში „ლაციოს" მცველი სინიშა მიხაილოვიჩი ტორინოელ მარკო ფერანტეს უხეშად მოექცა, რის გამოც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ორი მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა. ეს ორივე შეხვედრა „ლაციოსთვის" უპრინციპულესია: იგი ჯერ „პარმას უმასპინძლებს, ხოლო შემდეგ „მილანს" ესტუმრება.



სინიშა მიხაილოვიჩი

## „მილანმა" ყველას გადააჭარბა...

იტალიური „მილანის" მფლობელ სილვიო ბერლუსკონის თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარი გამოუყვია ახალი ვარსკვლავების შესაძენად. როგორც იტყობინებიან, მილანელთა რიგებში ამ ზაფხულს დიდი გადაადგილებები მოხდება. მათი თვალთახედვის არეში უმეტესად ახალგაზრდა მოთამაშეები არიან: არგენტინელები პაბლო აიმარი, ხავიერ სავიოლა, მარსელო გალარდო, ფრანგები: ლილიან ტიურამი, პეტერ ლუქსენი, უილიამ გალასი, ბრაზილიელები ალექსი, ედმუნდო... მოკლედ, თუ დონ სილვიომ წადილი აისრულა, ეს იქნება ჯერ არნახული სატრანსფერო პოლიტიკა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### უმუშევარი ჩეხით, როგორც იქნა დაინტერესდნენ

ცნობილი ჩეხი სპეციალისტი ზდენეკ ზემანი, რომელმაც იტალიურ „რომაში“ მუშაობით გაითქვა სახელი, შარშან შემოდგომიდან უმუშევარია. მომავალი სეზონიდან კი ალბათ კიდევ თავის სტიქიას დაუბრუნდება – სათავეში ჩაუდგება ფლორენციის „ფიორენტინას“.

ზდენეკის უმუშევრობა იმით იყო განპირობებული, რომ თურქულ „ფენერბაჰჩეში“ მას არ ადროვეს და მყისვე მოსთხოვეს მაღალი შედეგები. რაც შეეხება „ფიორენტინას“ ახლანდელ თავკაც ჯოვანი ტრაპატონის, მისი მომავალი ბუნდოვანია. თუმცა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ – ზემანის და „ფიორენტინას“ კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა.

### ანგელმა საქმე უნდა გამოასწოროს

რუმინეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ ჩაუდგა სათავეში საუდის არაბეთის „ალ-ჰილალს“, რომელსაც უკვე 10 წელია ასეთი ცუდი შედეგები არა ჰქონია. აქამდე მიიყვანა საქმე ბრაზილიელმა მწვრთნელმა ლორი სანდრიმ.

იორდანესკუსთან ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა, რომლის ძალით მან მდიდრული ანაზღაურება – 600 ათასი დოლარი უნდა მიიღოს.

### მანჩესტერიდან ლივერპულში - შეუძლებელია

ინგლისურ „ლივერპულს“ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ჰოლანდიელი ფორვარდის – ხორდი კრუიფის გადმოყვანა სურს. მიუხედავად იმისა, რომ სერ ალექს ფერგიუსონი იშვიათად აძლევს შანსს „დიდი იოჰანის“ ვაჟს, მაინც უარი შეუთვალა „ლივერპულს“. ეს ალაბთ იმით აიხსნება, რომ საქვეყნოდაა ცნობილი ამ ორ კლუბს შორის მტრობა.

### „მილანს“ ტოტიც მოსდომებია

„მილანმა“ თვალი დაადგა „რომას“ ვარსკვლავს – 23 წლის ფრანჩესკო ტოტის. ტრანსფერის ღირებულებაზე ჯერ არაფერია ცნობილი. ტოტი ძირძველი რომაელია და არა გვგონია, რომ ახლანდელი კლუბი მას ადვილად შეელიოს, თუმცა, საქმე ხომ „მილანთან“ გვაქვს.

## «უემბლი» თაღით გალამაზდება

ინგლისელთა სიამაყე, ლონდონის სტადიონ „უემბლის“ რეკონსტრუქციისთვის 475 მილიონი გირვანქა სტერლინგია გამოყოფილი. პროექტის მთავარი არქიტექტორის ლორდ ფოსტერის იდეით გადაწყდა, რომ „უემბლის“ საყოველთაოდ ცნობილი კოშკები, საფეხბურთო კარების იმიტაციას რომ ახდენდეს, ფოლადის 153-მეტრიანი თაღით შეიცვლება. ასეთ „უემბლის“ ლონდონის ყველა რაიონიდან დაინახავს კაცი. სხვა მხრივ, სტადიონის ინტერიერ-ექსტერიერი დიდად არ შეიცვლება – განახლებულ „უემბლიზე“ ტრიბუნები, უბრალოდ, უფრო ახლოს მიიწევა მინდორთან, რითაც სტადიონის ტევადობა 90 000 ადგილამდე გაიზრდება. საექსპლატაციოდ გამზადებული, მოდერნიზებული „უემბლი“ 2003 წელს იხილავს დღის სინათლეს. ფოტოზე კი თქვენ კომპიუტერული გრაფიკით გამოსახულ განახლებულ, თაღიან „უემბლის“ ხედავთ.




## საკრედიტო ბარათი – „პელე“

მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატამდე ორი წელიწადი გვაშორებს, მაგრამ ვილაც-ვილაცეებმა თადარიგი უკვე დაიჭირეს. ფიფამ დაასახელა რამდენიმე ოფიციალური სპონსორი, რომელთა შორის არის Master Card-იც. ეს ფირმა საკრედიტო ბარათებში ყველაზე ძლევამოსილი და პოპულარულია.

Master Card-მა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისთვის გადაწყვიტა სპეციალური დიზაინით გაფორმებული ბარათები გაუშვას მიმოქცევაში. ამ სპეციალურ ბარათს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს ფოტოკოლოფი და ავტოგრაფი ამშვენებს. ჰოდა, Master Card-მაც გადაწყვიტა საგანგებო პრეზენტაცია მოეწყო ამ განხორციელებული იდეისთვის, თანაც ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ქვეყნის დედაქალაქში – ტოკიოში თვით პელემ წარმოადგინა ეს სპეციალური საკრედიტო ბარათი საექსპონატო დიზაინით.

### ჰიონესს სიმშვიდე მოენატრა

მიუნხენის „ბაიერნის“ კომერციულმა დირექტორმა ული ჰიონესმა ორი წლის შემდეგ სამსახურიდან წასვლა განიზრახა. „სამუშაოს თავს დავანებებ, სადმე წყნარ ვილას მივაშურებ და მეუღლეს, სიუზის გოლფს ვეთამაშები“ – განაცხადა 48 წლის ჰიონესმა.

## ნბა

**7 თებერვალი:** შარლოტი — ნიუ იორკი 95:85; ორლანდო — გოლდენ სტეიტი 120:100; ინდიანა — ფილადელფია 109:84; მილუოკი — პორტლენდი 111:115; ლეიკერსი — დენვერი 106:98.

**8 თებერვალი:** ნიუ-ჯერსი — ბოსტონი 131:113; ტორონტო — ატლანტა 109:88; ჰიუსტონი — კლივლენდი 91:83; სან-ანტონიო — სიეტლი 79:77; ფინიქსი — ვანკუვერი 94:76; საკრამენტო — ჩიკაგო 119:80.

**9 თებერვალი:** ბოსტონი — ინდიანა 104:113; ფილადელფია — ნიუ-ჯერსი 92:90; ორლანდო — ვაშინგტონი 107:96; მაიამი — გოლდენ სტეიტი 115:100; შარლოტი — კლივლენდი 103:95; ატლანტა — ჰიუსტონი 116:100; დეტროიტი — ტორონტო 115:108 (დ.დ); მილუოკი — ნიუ-ორკი 103:109; დალასი — სიეტლი 106:117; დენვერი — სან-ანტონიო 97:106; იუტა — ჩიკაგო 113:86; ლეიკერსი — მინესოტა 114:81 პორტლენდი — კლიპერსი 107:1000.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| მაიამი | 47 | 30 | 17 | 63,8 |
| ნიუ-იორკი | 47 | 29 | 18 | 61,7 |
| ფილადელფია | 49 | 27 | 22 | 55,1 |
| ორლანდო | 49 | 24 | 25 | 48,9 |
| ბოსტონი | 49 | 21 | 28 | 42,8 |
| ნიუ-ჯერსი | 48 | 19 | 29 | 39,5 |
| ვაშინგტონი | 49 | 15 | 34 | 30,6 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | | |
| ინდიანა | 48 | 32 | 16 | 66,7 |
| შარლოტი | 47 | 27 | 20 | 57,4 |
| ტორონტო | 46 | 26 | 20 | 56,5 |
| დეტროიტი | 48 | 25 | 23 | 52,1 |
| მილუოკი | 50 | 26 | 24 | 52,0 |
| ატლანტა | 46 | 19 | 27 | 41,3 |
| კლივლენდი | 48 | 18 | 30 | 37,5 |
| ჩიკაგო | 47 | 10 | 37 | 21,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | | |
|---|---|---|---|---|
| სან-ანტონიო | 49 | 32 | 17 | 65,3 |
| იუტა | 47 | 29 | 18 | 61,7 |
| მინესოტა | 46 | 27 | 19 | 58,6 |
| დენვერი | 47 | 21 | 26 | 44,6 |
| დალასი | 48 | 20 | 28 | 41,6 |
| ჰიუსტონი | 49 | 20 | 29 | 40,8 |
| ვანკუვერი | 46 | 12 | 34 | 26,1 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | | |
| პორტლენდი | 49 | 38 | 11 | 77,5 |
| ლეიკერსი | 48 | 37 | 11 | 77,1 |
| საკრამენტო | 47 | 29 | 18 | 61,7 |
| ფინიქსი | 47 | 28 | 19 | 59,3 |
| სიეტლი | 51 | 30 | 21 | 58,8 |
| გოლდენ სტეიტი | 47 | 13 | 34 | 27,6 |
| კლიპერსი | 48 | 11 | 37 | 22,9 |

ვეფხვია ჯალაღონია



## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ბუმ კუნ ჩა – საუკეთესო აზიაში

### საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

აზიის საუკუნის ფეხბურთელად მიჩნეულია ბუმ კუნ ჩა (სამხრეთი კორეა). მან სპეციალისტების გამოკითხვის შედეგად 112 ქულა მოაგროვა და გაასწრო თანამემამულე კიმ ჯუ სენს (93 ქულა).

ბუმ კუნ ჩა დაიბადა 1953 წლის 22 მაისს ქ. ხვასენში (კენკის პროვინცია). დასაწყისში ქვეყნის სხვადასხვა კლუბებში თამაშობდა. იმ პერიოდის კორეული ფეხბურთის წესების თანახმად, ნაკრებში არ შეეძლოთ მიეწვიათ 20 წელზე უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელი. ბუმ კუნ ჩას დიდმა და სრულიად აშკარა ნიჭმა კორეული ფეხბურთის მესვეურები აიძულა ეს წესი დაერღვიათ და 19 წლისა აზიის 1972 წლის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. კორეაში იგი თამაშობდა კენსინის უმაღლესი სკოლის (1969-71), კორეის უნივერსიტეტის (1972-75), სიანტაკ ბანკის (1976), კვლავ კორეის უნივერსიტეტის (1976-78) და კორეის სამხედრო საჰაერო ძალების (1978-79) გუნდებში.

ბუმ კუნ ჩას დიდი ნიჭის გაფურჩქვნა გერმანიასთან არის დაკავშირებული. 1978 წელს იგი ჩავიდა „დარმშტატდში“ (ბუნდესლიგა) პრაქტიკის მისაღებად. ამასთან, გერმანელი ჟურნალისტები კარგა ხანს ვერაფრით გაერკვნენ, რომელი იყო ფეხბურთელის სახელი და რომელი — გვარი. შემდეგ ჩა მცირე ხნით სამშობლოში დაბრუნდა სამხედრო-სამსახურის გასავლელად, 1979 წლიდან კი უკვე დიდი ხნით დასახლდა გერმანიაში, სადაც თამაში დაიწყო მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტში“. რაიმე ადაპტაცია, შეჩვევა გერმანულ ფეხბურთთან მას არ დასჭირვებია — „აინტრაჰტმა“ შეიძინა პირველხარისხოვანი სნაიპერი, რომელმაც პირველ სეზონში 12 გოლი გაიტანა, შემდეგ კი შესაბამისად 8,11 და 15. უკვე პირველივე სეზონში „აინტრაჰტმა“ ჩას უდიდესი აქტიურობის, არაჩვეულებრივი ენერგიის წყალობით გაიმარჯვა უეფას თასზე, ამასთან, მიუნხენის „ბაიერნიც“ დაამარცხა და მენხენგლადბახის „ბორუსიაც“. 1981 წელს მან გერმანიის თასის ნახევარფინალში გადამწყვეტი გოლი გაიტანა ბერლინის „ჰერტას“ კარში. ფინალურ მატჩში „აინტრაჰტმა“ დაამარცხა „კაიზერსლაუტერნი“ — 3-1. როცა ჩამ „აინტრაჰტში“ მოიპოვა პოზიცია, კლუბში ჯერ კიდევ გამოდიოდნენ მრავალწლიანი ლიდერები ბერნდ ჰ იოლცენბაინი და იურგენ გრაბოვსკი. ახლა მათი როლის შესრულება უკვე კორეელ ვარსკვლავს მოუხდა. გერმანული პრესა აღნიშნავდა არა მარტო ჩას დიდ ოსტატობას, არამედ მის მეტად კორექტულ, ჯენტლმენურ თამაშსაც. როცა ერთ მატჩში ლევერკუზენის მცველმა იურგენ ჰელს დორფმა ჩა მძიმედ დააშავა, კორეელმა განაცხადა, რომ სულაც არ არის მასზე განაწყენებული.


ბუმ კუნ ჩა (თეთრ მაისურში)

1983 წელს ჩა სწორედ ლევერკუზენის „ბაიერში“ გადავიდა, სადაც იგი იურგენ ჰელსდორფთან ერთად თამაშობდა. ადრინდელი შეხლა-შემოხლა არავის გახსენებია. ამ ახალ კლუბში კორეელმა 6 სეზონი ითამაშა ბუნდესლიგაში. გაიტანა შესაბამისად 12, 10, 17, 6, 4 და 3 გოლი. მისი მონაწილეობით „ბაიერი“ დაეუფლა უეფას თასს. საინტერესო ამბები მოხდა 1988 წელს უეფას თასის ორ ფინალურ მატჩში. ჯერ ბარსელონაში „ესპანიოლთან“ გერმანულმა კლუბმა მძიმე დამარცხება იგემა — 0-3: „ბაიერის“ მდგომარეობა საპასუხო მატჩის წინ თითქმის უიმედოდ ჩანდა, მაგრამ ლევერკუზენში ჩას ბრწყინვალე თამაშის წყალობით გერმანელებმა ჯერ სამივე გოლი გაქვითეს (მესამე გოლი სწორედ კორეელის იყო), შემდეგ კი პენალტების სერია უკეთ შეასრულეს.

ასაკში შესვლასთან დაკავშირებით, ჩამ შუა ხაზზე დაიწყო თამაში, მისმა შედეგიანობამ იკლო. სულ მან ბუნდესლიგაში 98 გოლი გაიტანა, რაც დიდხანს ითვლებოდა ლეგიონერთა რეკორდად, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გადააჭარბა შვეიცარიელმა ჩირიაკო სფორცამ.

ევრო თასებზე ჩას მიღწევები ასეთია: 6 მატჩი თასების მფლობელთა თასზე და 1 გოლი, 31 მატჩი უეფას თასზე და 9 გოლი, ერთი სიტყვით, 37 მატჩი და 10 გოლი.

ახლა კორეის 1973 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას XX საუკუნის აზიის საუკეთესო ფეხბურთელობაც დაემატა.

ბუმ კუმ ჩა პირველი აზიელი იყო, რომელიც არ დაიკარგა ევროპულ ფეხბურთში და ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავიც გახდა.

1990 წლიდან ჩა, რომელიც დიდხანს სწავლობდა ცნობილ გერმანელ სპეციალისტებთან, პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. მას წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ დიდი უსიამოვნებაც ხვდა წილად. 1997 წელს ჩა დაინიშნა სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელად, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. უკვე საფრანგეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე კორეის ფეხბურთის მესვეურები ჩას მეტად შეუბრალებლად მოექცნენ, თანამდებობიდან მოხსნეს, 5 წლით სამშობლოში პროფესიულ ფეხბურთში მუშაობაც კი აუკრძალეს. რატომ? ამის მიზეზი კრიტიკული გამოთქმების სერია იყო, მიმართული არაკომპეტენტური კორეელი ფუნქციონერების წინააღმდეგ, რომლებიც მწვრთნელის საქმიანობაში ერეოდნენ. მეტი რაღა ჩარა იყო, ჩას ჩინეთში მოუხდა სამუშაოს ძებნა. ისე, კორეაში მოქმედებს გამოჩენილი ფეხბურთელის მიერ 1990 წელს დაარსებული სკოლა „სოკერ კლას ჩა“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და 13 ფილიალი აქვს.

# უკვე ყველაფერი ნათელია

**საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა**

*9 ტური ჩემპიონატის დამთავრებამდე საკმაოდ დიდი დროა, შეიძლება ლიდერთა ჯგუფში გარკვეული ცვლილებები მოხდეს, მაგრამ მაინც წარმოუდგენელია, რომ „მონაკომ“ ჩემპიონობა ვინმეს დაუთმოს. იგი XXV ტურის შემდეგ 52 ქულით მდევრებს „პარი სენ-ჟერმენს“, „ოსერსა“ და „ლიონს“ მთელი 10 ქულით უსწრებს. ასეთ უპირატესობას ევროპულ ჩემპიონატებში, საერთოდ, ვერც ერთმა ლიდერმა ვერ მიაღწია.*

მაინც რითი უნდა აიხსნას „მონაკოს“ ესოდენი წარმატება? იგი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. როცა მთავარ მწვრთნელად 1999 წლის 12 იანვარს კლოდ პიუელი დაინიშნა, კაცი, რომელმაც კლუბში 21 წელი გაატარა, ჯერ როგორც მოთამაშემ, შემდეგ კი მწვრთნელის ერთ-ერთმა თანაშემწემ, მიიჩნევდნენ, რომ იგი მალე რომელიმე ცნობილი ფრანგი თუ უცხოელი სპეციალისტით შეიცვლებოდა. ნურას უკაცრავად! პიუელმა საქმეს მტკიცედ მოჰკიდა ხელი და ვინმეს მოწვევაზე ლაპარაკი მალე თავისთავად აღიკვეთა.

მიმომხილველებმა თავიდანვე მიაქციეს ყურადღება მეტად მარჯვედ ჩატარებულ სატრანსფერო პოლიტიკას, რომლის შედეგად „მონაკოში“ აღმოჩნდა სამი უაღრესად საჭირო მოთამაშე. ეს არის გამოცდილი იტალიელი თავდამსხმელი მარკო სიმონე (პსჟ-დან), რომელმაც სახელი მოიხვეჭა საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში, შესანიშნავი ახალგაზრდა ნახევარმცველი მარსელო გალიარდო (ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტიდან“), რომელზეც დიდ იმედებს ამყარებს არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობა და მექსიკის 1998 წლის №1 ფეხბურთელი რაფაელ მარკესი (გვადალახარის „ატლასიდან“). ისინი კარგად შეერწყნენ გუნდის ძველ ლიდერებს ფაბიენ ბარტეზს, დავიდ ტრეზეგეს, ლუი ჟიულისა და საბრი ლამუშის. „მონაკოს“ თამაში შესამჩნევად გაძლიერდა. აი, რას ამბობს ლამუში: „ჩვენ ახლა უფრო მრავალფეროვნად ვთამაშობთ. აქცენტი შეტევაზეა აღებული („მონაკომ“ უკვე გაიტანა 51 გოლი, გაცილებით მეტი, ვიდრე ნებისმიერმა სხვა კლუბმა), მეტს ვმოძრაობთ. არა გვყავს მკვეთრად გამოხატული მოთამაშეები ფრთებზე. ჟიულისა და გალიარდოს, სიმონესა და ტრეზეგეს დაცვაც შეუძლიათ, ბურთის „დაჭერაც“, გადაცემაც, წინ წასვლაც და გოლის გატანაც. სტერეოტიპულ ფეხბურთს ჩვენ უკვე აღარ ვთამაშობთ.

ეს ასეა, მაგრამ ტრეზეგე და სიმონე, რომელიც, როგორც იტყვიან, თამაშგარეს ზღვარზე თამაშობს, უპირველეს ყოვლისა, მაინც მწვავედ მოქმედი თავდამსხმელებია, და უამრავი გოლი გააქვთ. ნამდვილი ვირტუოზი გალიარდო მათ დიდებული გადაცემებით ამარაგებს, როცა საჭიროა, აგდებს ტემპს და მატჩის ბოლოს ხომ მეტად ოსტატურად გაჰყავს დრო — მისთვის ბურთის წართმევა მეტად ძნელია. დაცვით ხაზებშიც ყველაფერი წესრიგშია. მეკარე ფაბიენ ბარტეზი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თითქოს მოეშვა, ახლა კვლავ მაღალ კლასს აჩვენებს. დაცვა, სადაც გამოირჩევა ფილიპ კრისტანვალი, საიმედოდ თამაშობს. დღეისათვის მას ნაკლები გოლი (22) აქვს გაშვებული, ვიდრე ნებისმიერ მეტოქეს.

მოვუსმინოთ მწვრთნელ კლოდ პიუელს: „ჩვენი ძალა კოლექტიურ თამაშშია. „მონაკო“, ეს არის მოთამაშეების ჯგუფი, რომელიც ერთად უტევს და თავსაც ერთად იცავს. მას ერთი მიზანი და თამაშის ერთიანი ორიენტირი აქვს. თავდამსხმელები ემორჩილებიან ზოგჯერ დაცვაში თამაშის აუცილებლობასაც, თუმცა ეს არ არის ბუნებრივი იმ ფეხბურთელებისათვის, რომლებიც ბურთს უფრთხილდებიან და მასთან ერთად მოძრაობა უყვართ. ამის შედეგად ჩვენი გუნდის რგოლები ერთმანეთთან არის გადაბმული, მოქმედება კი ბალანსირებულია. მე გუნდში საოცნებოდ კი არ მოვედი. არც მინდა, რომ დღევანდელმა შედეგმა შეცდომაში შემიყვანოს. პირველი ვიქნებით, მეორენი თუ მესამენი (თუმცა ყველაფერი დღეისათვის თითქმის ნათელია — *რედ.*) ამაზე არც მინდა ლაპარაკი. მთავარია გუნდს თავისი თამაში ჰქონდეს“.

„მონაკოს“ ძალიან აქებს მისი ყოფილი მეკარე ჟან-ლუკ ეტორი, რომელმაც იქ მთელი 19 წელი ითამაშა. იგი მიიჩნევს, რომ საფრანგეთში ხომ არა ჰყავს ბადალი და არც თუ „პარმის“, „იუვენტუსის“ თუ რომელიმე სხვა ევროპული კლუბის უნდა ეშინოდეს.

ერთი სიტყვით, დღევანდელი „მონაკო“, ექსპერტების აზრით, გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე შარშანდელი (ჯერ კიდევ მოქმედი) ჩემპიონი „ბორდო“ ან ვიცე-ჩემპიონი „მარსელი“. ამასთან, თუ „ბორდო“ 35 ქულით მეექვსეა და, ამდენად, ინარჩუნებს საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობას, „მარსელს“ გაცილებით უარესად აქვს საქმე (32 ქულით მეთერთმეტეა), თუმცა არც ის ყრის ფარ-ხმალს. საერთოდ, ჩემპიონთა ლიგის საგზურების მოპოვების პრეტენზია დღეისათვის ბევრ გუნდს აქვს, ეს კი ყოველ მომდევნო ტურში მძაფრ ბრძოლას მოასწავებს.

გადავხედოთ სნაიპერთა დავას. მარკო სიმონეს („მონაკო“) და სონი ანდერსონს („ლიონი“) 17-17 გოლი აქვთ გატანილი, დავიდ ტრეზეგეს („მონაკო“) — 15, ხოლო ბრაზილიელ კრისტიანს (პსჟ), რომელმაც ერთ-ერთ ბოლო ტურში 4 გოლი გაიტანა — 13 ბურთი.

ახლა საფრანგეთის პირველობაზე 16 თებერვლამდე, შესვენებაა. XXVI ტურში, ცხადია, ყურადღების ცენტრში იქნება „მონაკოსა“ და ჩემპიონ „ბორდოს“ შეხვედრა. თუ ჩემპიონმა ამ მატჩში წარმატებას ვერ მიაღწია, მაშინ საპრიზო ადგილისათვის ბრძოლა ძალზე გაუჭირდება. მეტად საინტერესოა მატჩი მარსელის „ველოდრომზე“, სადაც ვიცე-ჩემპიონები მეორე ადგილზე მყოფ ამბიციურ „პარი სენ-ჟერმენს“ მიიღებენ. მესამე ადგილზე მყოფი „ოსერი“ „სტრასბურს“ მიიღებს, იგი გამწარებული იბრძვის უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად, ხოლო „ლიონი“, რომელმაც წინა ტურში „მონაკო“ დაამარცხა (2-1) ნანტში თამაშობს, რომელიც ახლა მაჩანჩალათა რიცხვში აღმოჩნდა (29 ქულა, მეთხუთმეტე ადგილი). ისე კი, ჩამორჩენილთა ჯგუფში ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, გარდა ერთისა — 22 ქულით ბოლო, მეთვრამეტე ადგილზე მყოფ „მონპელიეს“, ეტყობა, ველარაფერი იხსნის.

საერთოდ კი, საფრანგეთის ჩემპიონატი 20 მაისს მთავრდება.

**ბივი ბამრეკელი**



ტულუზა — ბორდო



მარკო სიმონეს (შავ მაისურში) და დომოროს „დუელი“

## „თოჯინა“ აღტაცებას იწვევს

***თუკი შეიძლება ამჟამად საფრანგეთის პირველობაზე ერთი რომელიმე მოთამაშის გამოყოფა, ასეთად ფრანგი ექსპერტები უყოყმანოდ ამ შეჯიბრების დებიუტანტს, 22 წლის არგენტინელ ნახევარმცველ მარსელო გალიარდოს ასახელებენ, რომელიც პირდაპირ ბრწყინავს „მონაკოში“. მისი თითოეული მატჩი გულშემატკივრებს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ეს არის ნამდვილი ინტელიგენტი საუცხოო დრიბლინგით, ბრწყინვალე გადაცემებით, დახვეწილი ტექნიკით“. მას ყოფილმა არგენტინელმა პარტნიორმა ერნან დიასმა ბავშვური გამომეტყველებისათვის „თოჯინა“ დაარქვა.***

მარსელო გალიარდო გაიზარდა ბუენოს-აირესის აღმოსავლეთის გარეუბან მერლოში და ბავშვობიდანვე სპეციალისტების ყურადღებას იპყრობდა. უკვე 12 წლისა იგი გამოჩნდა ცნობილ სტადიონ „მონუმენტალზე“, ჭაბუკობაში თამაშობდა მომავალ ვარსკვლავებთან ერნან კრესპოსა და მათიას ალმეიდასთან ერთად. 1993 წელს გალიარდო მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის იტალიაში. აქ არგენტინელები მესამე ადგილზე გავიდნენ, „თოჯინამ“ კი ყველა მოხიბლა. დანიელ პასარელამ, რომელიც საგულდაგულოდ არჩევს ხოლმე ახალგაზრდებს, გალიარდო „რივერ პლეიტის“ ძირითად შემადგენლობაში მიიწვია, აქ ჭაბუკმა დიდი გამოცდილება მიიღო, ხუთ სეზონში 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, ხუთჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მოიგო 1995 წლის პანამერიკული თამაშები, 1996 წლის „კოპა ლიბერტადორესი“, 1997 წელს კი სამხრეთ ამერიკის სუპერთასი. ერთი სიტყვით, გალიარდო იმარჯვებდა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა. იგი, სრულიად ახალგაზრდა, არგენტინის ნაკრების წევრიც გახდა.

მარსელო ორტეგა „რივერ პლეიტში“ ცნობილ არიელ ორტეგას დაუმეგობრდა. იგი მასთან ერთ ოთახში ცხოვრობდა, საერთოდ კი, მსგავსი მანერით თამაშობდა. როცა ორტეგა იტალიაში გადაბარგდა, „რივერ პლატაში“ თამაშის სადავეები ჭაბუკ გალიარდოს ხელში აღმოჩნდა. ნაკრებში იგი ასევე შეუცვლელი გახდა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატშიც, მაგრამ გალიარდო თავს შეუძლოდ გრძნობდა, როგორც ფიქრობენ, ეროვნულმა ჩემპიონატმა გადაღალა. ამ მარცხმა გალიარდოს არაფერზე აალებინა ხელი. მან მალე ჩვეული ძალით დაიწყო თამაში. ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატამდე, მას ბევრი კლუბის ემისრებმა მიაკითხეს. არგენტინელის გადაბირება სურდათ „პარმას“, „უდინეზეს“, მადრიდის „ატლეტიკოს“. ასახელებდნენ საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც. როცა მარსელომ „მონაკო“ აირჩია, არგენტინელი ჟურნალისტები შეეკითხნენ, განა არ შეიძლებოდა უფრო სოლიდურ კლუბში გადასვლა? ამაზე გალიარდომ ასე უპასუხა: „მონაკო“ საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, საფრანგეთი კი მსოფლიო ჩემპიონი“. გალიარდო თვლის, რომ მართლაც სწორი არჩევანი გააკეთა. რა თქმა უნდა, „მონაკოს“ ხელმძღვანელები ძალიან კმაყოფილები არიან და რომ დღეს ეს კლუბი საფრანგეთის ჩემპიონატში დამაჯერებლად ლიდერობს. ეს, ცხადია, სხვებთან ერთად, ახალგაზრდა არგენტინელის დიდი დამსახურებაცაა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ხმაური არაფრის გამო

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა ებრძოლოს ინგლისურ ფეხბურთში ლეგიონერების სიჭარბეს. ამ მიზნით ლეგიონერების რიცხვი კლუბებში ორჯერ შეიკვეცება, ქვეყანაში მუშაობის ლიცენზია გაცილებით უფრო ხელმომჭირნედ გაიცემა, შეამოწმებენ ყველა იმპორტირებულ ფეხბურთელს.

ყოველივე ეს სწორი და დროულია, მაგრამ მხოლოდ იმ ქვეყნების მოთამაშეებს ეხება, რომლებიც ევროკავშირში არ შედიან. ასეთი ფეხბურთელი კი ინგლისში ისედაც ცოტაა. რაც შეეხება ფრანგებს, იტალიელებს, ჰოლანდიელებს, რომლებიც აშკარად ავიწროებენ ინგლისელებს, მათ დამსჯელი ღონისძიებები არ ეხებათ.

### მთელი ნაკრები დააპატიმრეს

არნახული რამ მოხდა კოტ-დ'ივუარში.. როგორც კი მისი ნაკრები აფრიკის თასიდან დაბრუნდა, ყველა დააპატიმრეს და სამხედრო ბანაკში მოათავსეს „დისციპლინის არქონისათვის, რამაც ეროვნული პრესტიჟის დაცემა გამოიწვია“, ასეა ნათქვამი მმართველი სამხედრო ხუნტის განცხადებაში.

ნაკრები განიდან, სადაც მარცხი განიცადა, სამხედრო თვითმფრინავით პირდაპირ ბანაკში ჩაიყვანეს, დედაქალაქიდან 20 კმ-ის დაშორებით. აქ მათ „სამოქალაქო პასუხისმგებლობა და დისციპლინა“ ასწავლეს.

### ინგლისში არ მიიწვიეს, მაგრამ წინაპრების გუნდში უხმეს

თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ ორჯერ სთხოვა „ლესტერ სიტის“ ჩინებულ ნახევარმცველ მუსტაფა „მაზი“ იზეტს ევროპის პირველობაზე ამ გუნდში გამოსულიყო. საქმე ის არის, რომ იზეტი თურქული წარმოშობისაა. იგი აქამდე უარს ამბობდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ კევინ კიგანი ინგლისის ნაკრებში მიიწვევდა.

როცა იზეტის იმედი არ გამართლდა, ფეხბურთელმა გადაწყვეტილება შეიცვალა, თურქების წინადადება მიიღო და ზაფხულში ევროპის პირველობაზე ითამაშებს.

### რანიერი წარბსაც არ იხრის

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი კლაუდიო რანიერი, რომელიც ახლა მადრიდის „ატლეტიკს“ ხელმძღვანელობს, წარბსაც არ იხრის მას შემდეგ, რაც ფინანსური ხასიათის დარღვევებისათვის კლუბის მმართველობას ჩამოაშორეს მისი ავი პრეზიდენტი ხესუს ჰილი. ახლა „ატლეტიკო“ მხოლოდ მე-13 ადგილზეა, რანიერი კი აცხადებს: „მე ის კაცი არა ვარ, რომელიც ჩასაძირ ხომალდს სტოვებს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ატლეტიკომ“ ღირსეულად დაასრულოს სეზონი“. აი, შემდეგ კი რას აპირებს, ამ კითხვაზე რანიერის პასუხი არ გაუცია.

### ერთ ძმას მეორეც მიაყოლეს

მას შემდეგ, რაც მილანის „ინტერმა“ მადრიდის „რეალისაგან“ ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი შეიძინა, რომელსაც „სამეფო კლუბში“ რთული ურთიერთობა ჰქონდა, საჭიროდ ჩაითვალა ესპანელთაგან მისი უმცროსი ძმის, 16 წლის ჭაბუკ სედრიკ ორლანდო ზეედორფის ყიდვაც. უმცროსი ზეედორფი აქამდე თამაშობდა ჰოლანდიის ყმაწვილთა ნაკრებში (16 წლამდე), შემდეგ ამსტერდამის „აიაქსსა“ და მადრიდის „რეალში“.

### ასე არ უნდაო, და...

**კიევის „დინამოს“ მატჩის საკითხი ჩემპიონთა ლიგაში ნორვეგიულ „რუსენბორგთან“ უკანასკნელ მომენტამდე ბუნდოვანი იყო. საქმე ის არის, რომ „კიევენერგოს“ ვალის გამო რესპუბლიკური ოლიმპიური კომპლექსის სტადიონს დენი გამოერთო. მინდვრის საფარის ელექტროგათბობა შეწყდა. მაშინ მდგომარეობა იხსნეს უკრაინის ფინანსთა სამინისტრომ და ფკ „დინამომ“, რომლებმაც ვალი დაფარეს. ახლა 29 თებერვლის მატჩს ხელი აღარ შეეშლება.**

### კრანკლმა შუმახერი შეცვალა

განთქმულმა ავსტრიელმა ჰანს კრანკლმა გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბი „ფორტუნა“ („კიოლნი“) ჩაიბარა, რომელშიც მანამდე წარუმატებლად მუშაობდა ცნობილი ჰარალდ შუმახერი (მას უკრაინის ფრთიანი გამოთქმა: „მსოფლიოში მხოლოდ სამი მეკარეა: „ჰარალდ შუმახერი, ტონი შუმახერი და ანტონ შუმახერი!“). კრანკლი ადრე ავსტრიულ „ზალცბურგში“ მუშაობდა, რომელსაც ახლა იუგოსლავიელი მიროსლავ პოლიაკი ჩაუდგა სათავეში.

**საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები**

## ბორა მილუტინოვიჩი მართლა ყოვლისშემძლეა?!

განთქმული იუგოსლავიელი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი უკვე შეუდგა მუშაობას ჩინეთის ნაკრებში, რომელიც მალე ჩაებმება ბრძოლაში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად. მეცხრე აზიური შესარჩევი ჯგუფის პირველ ეტაპზე ჩინელების მეტოქეები არიან ინდონეზიის, კამბოჯისა და მოლდოვის კუნძულების ნაკრებები.

– ჩინეთი ერთ-ერთი უძლიერესი სპორტული ქვეყანაა მსოფლიოში, მის ფეხბურთს კი უზარმაზარი პოტენციალი აქვს – განაცხადა ბორა მილუტინოვიჩმა, რომელმაც უხეიროდ მომუშავე, ინგლისელი სპეციალისტი ბობი ჰოუგტონი შეცვალა. ჰოუგტონის ხელმძღვანელობით ჩინეთის ნაკრებმა ვერ შეძლო სიდნეის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება, რაც, ცხადია, დიდ მარცხად ჩაუთვალეს.

თუკი ბორას საქმეები ჩინეთში კარგად წავიდა და მან ნაკრებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები შესძინა, ეს იქნება მილუტინოვიჩისათვის ზედიზედ მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატი, სულ სხვადასხვა ნაკრებების სათავეში. 1986 წელს მან ფინალში გაიყვანა მექსიკა, რომელიც შემდეგ 8 უძლიერესს შორის მოხვდა, 1990 წელს იტალიაში ჩაიყვანა კოსტარიკელები, რომლებსაც იქ, ცხადია, არავინ ელოდა. 1994 წელს ფინალში გაიყვანა აშშ-ს ნაკრები, 1998 წელს კი ნიგერიელები, რომლებიც მერვედფინალამდე მივიდნენ.

მართლაც და გასაოცარი შედეგებია!

# ახალგაზრდობამ „მოხუც ჩემპიონს" იმედი გაუცრუა

**გარი კასპაროვის შედეგი ვეიკ-ან-ზეეში სპორტული თვალსაზრისით ჩინებული იყო – 9,5 ქულა 13 შესაძლებლიდან, 1,5 ქულით მეტი, ვიდრე მომდევნო ადგილებზე გასულებმა მოაგროვეს.**



● ***როგორ აფასებთ თქვენს გამოსვლას ვეიკ-ან-ზეეს ტურნირში?***

– შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშით კი მაინცდამაინც არა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში დანარჩენებზე გაცილებით უკეთ ვითამაშე. თქვენ ნახეთ, როგორ მოქმედებდა ლეკო ვან ველისთან შეხვედრაში, სიცილიურ დაცვაში თეთრებით ხან ერთი კიდურა პაიკი გადასწია ერთ უჯრაზე, ხან მეორე. ასე ჭადრაკის თამაში შეიძლება, მაგრამ ოცი წლის ასაკში კი არა! თუკი ეს არის ჩვენი მომავალი, მაშინ კიდევ 10 წელიწადს მომიხდება თამაში, ჩემს შემდეგ ასეთი ჭადრაკი რომ არ დარჩეს!

● ***რას იტყვით ანანდსა და კრამნიკზე?***

– ისინი საკმაოდ უფერულად თამაშობდნენ, თუმცა, ცალკეული გამობრწყინება ორივეს ჰქონდა. კვლავინდებურად ძლიერ სახიფათონი არიან, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ანანდს ძალიან გაუმართლა, სანამ მეორე-მეოთხე ადგილებს გაიყოფდა. რაც შეეხება კრამნიკს, იგი, როგორც მომეჩვენა, სრული ძალით არ თამაშობდა. რაღაც უცნაური პარტიები ჰქონდა: პოლგართან, პიკეტსა და ტიმანთანაც ცუდი პოზიციები მიიღო. დაძაბულობას ვერც ანანდი უძლებს და ვერც კრამნიკი. პარადოქსი ის არის, რომ საბრძოლო კოეფიციენტი ტურნირს „მოხუცებმა" მივეცით: კორჩნოიმ, ტიმანმა და მე. რაც შეეხება ახალგაზრდა თაობას, მან იმედები გამიცრუა.

● ***მოროზევიჩი?***

– დიახ, მოროზევიჩი, რა თქმა უნდა, ცდილობდა. მას ბედიც ნაკლებად სწყალობდა. რატომ არ უმართლებდა? იმიტომ, რომ ყველასი ეშინია. როცა ძლიერ ტურნირში თამაშობს, საკუთარ შესაძლებლობებში არ არის დარწმუნებული. გაუგებარი რამ მოუვიდა კორჩნოისთან შეხვედრაში: ზედმეტი პაიკიც ჰქონდა და მოგების კარგი შესაძლებლობაც, მაინც მოულოდნელად ყაიმი შესთავაზა. მოროზევიჩს კარგი შედეგები აქვს სუსტ მონაწილეებთან, უფრო ძლიერებთან კი იბნევა.

● ***თქვენი თამაშის დონე შარშანდელთან შედარებით დაქვეითდა?***

– როგორც ტურნირის დაწყებამდე პრეს-კონფერენციაზე ვთქვი, ვეიკ-ან-ზეეში ჩამოვედი, რათა თვით თამაშისგან სიამოვნება მიმეღო. ასე, მაგალითად, ბოლო ტურში პოლგართან თამაში უკვე აღარც კი მინდოდა: ტურნირი დამთავრდა, პირველი პრიზი მოვიპოვე. მაგრამ შემდეგ მაინც გადავწყვიტე მეთამაშა. როცა წარმოიქმნა პოზიცია, სადაც პაიკი მაკლდა, გამოვფხიზლდი და საბრძოლო განწყობილებაზე დავდექი. რა თქმა უნდა, დიდი რისკი გავწიე, მაგრამ ეს ხომ ნამდვილი თამაში იყო. რა კარგი იდეა მოვნახე! ძალები მოვიკრიბე და ძალიან კარგი პარტია მოვიგე.

● ***რა განწყობილებით გაემგზავრებით ერთი თვის შემდეგ ლინარესში?***

– ლინარესისათვის მე და ჩემი მწვრთნელი კი ვემზადებოდით, ვეიკ-ან-ზეეს, უბრალოდ, მოსამზადებელ ეტაპად ვთვლიდით. იქ სულ სხვანაირად ითამაშებენ, სულ სხვა დაძაბულობა იქნება. ვან ველის მსგავს სუსტ მოჭადრაკეებს ლინარესში ნამდვილად ვერ ნახავთ. ვფიქრობ, ჩემს ახალგაზრდა ოპონენტებს უკვე უკანდასახევი გზა აღარა აქვთ. კრამნიკი და ანანდი, უბრალოდ, ვალდებულნი არიან მოიგონ ერთი ისეთი ტურნირი მაინც, როგორიც ლინარესია. დარწმუნებული ვარ, ლინარესში მეტად საინტერესო ბრძოლა გაიმართება.

## ჭადრაკის ამბები

### გაუგონარი რამ...

ეს მოხდა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც სოლუნში (ხორვატია) მიმდინარეობდა. იქ ორი ტური იყო გათამაშებული, როცა ხორვატიის პრეზიდენტი გარდაიცვალა და ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.

მაშინ მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ ადრინდელი ტურების შედეგები გაეუქმებინა (!) და ყველაფერი თავიდან დაეწყო. ამით ისარგებლეს დიდოსტატებმა ზდენკო კოჟულმა (ხორვატია) და ვლადისლავ ტკაჩოვმა (ყაზახეთი), რომელიც ახლა საფრანგეთში ცხოვრობს. მათ ორ-ორი ნული ჩამოეწერათ (!), შემდეგ კი მშვენივრად თამაშობდნენ და 9 შესაძლებლიდან 6,5-6,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს.

ასეთი საჩუქარი ჭადრაკის ისტორიაში საერთოდ არავის მიუღია.

### მონაწილე 91 წლისაა

შვეიცარიის ღია ჩემპიონატში მართლაც რომ ჭრელი საზოგადოება მონაწილეობდა. მასში 11 ქვეყნის 169 მოჭადრაკე ჩაება. ამასთან, ყველაზე ხანდაზმული იტალიელი დიდოსტატი ენრიკო პაოლი იყო (დაიბ. 1908 წ), ყველაზე უმცროსი კი გოგონა რეიჩელ პერუგოდი (დაიბ. 1991 წ). პაოლიმ თავის ასაკთან შედარებით ურიგოდ როდი ითამაშა – მან 7 შესაძლებლიდან 3,5 ქულა მოაგროვა, გოგონამ კი 1,5.

6-6 ქულით პირველი-მესამე ადგილები დაიკავეს დიდოსტატებმა გალახერმა (შოტლანდია), გეორგიუმ (რუმინეთი) და საერთაშორისო ოსტატმა სომლაიმ (უნგრეთი). პრიზებიც სწორედ ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა.

### ჰიუბნერმა ახალგაზრდობა გაიხსენა

გერმანიის 71-ე ჩემპიონატმა, როგორც ყოველთვის, ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. 40 მონაწილეს შორის 10 დიდოსტატი იყო. ერთ-ერთმა ფავორიტმა არტურ იუსუპოვმა ავადმყოფობის გამო (ყბადაღებული გრიპი!) შეჯიბრება სუსტად ჩაატარა და ბოლო 5 პარტია თითქმის უბრძოლველად დაასრულა ყაიმით.

სამაგიეროდ, ჩინებულად ითამაშა მეორე ვეტერანმა, მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილმა პრეტენდენტმა, 51 წლის რობერტ ჰიუბნერმა. მან 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გაიხსენეს, რომ ჰიუბნერი უკანასკნელად გერმანიის ჩემპიონი გახდა 32 წლის წინათ!

მეორე ადგილზე 6,5 ქულით დიდოსტატი რუსტემ დაუთოვი გავიდა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




11 თებერვალი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. II არხი.* გოლი (20.00), *НТВ плюс футбол.* ბრაზილიის (13.20), ჰოლანდიის (15.05, 1.00), გერმანიის (19.15), შოტლანდიის (20.15), გერმანიის (1.00). ჩემპიონატები და მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* კალათბურთი, ნბა (6.00, 11.40, 12.10, 0.45), ტაილანდური კრივი (19.05), *ESPN.* ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (8.00), ესპანეთის საფეხბურთო მიმოხილვა (20.30). *EUROSPORT.* ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (15.30, 16.30, 21.30).

12 თებერვალი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* სტადიონი (19.20), *რუსთავი-2.* სპორტული პროგრამა (19.05), *4U.* კალათბურთი. მაკაბი – სდასუ (19.20). *НТВ плюс футбол.* გერმანიის (13.15, 15.05, 18.25), ჰოლანდიის (16.45), შოტლანდიის (20.40), ესპანეთის (23.25). *ESPN.* ფეხბურთი: ჰოლანდიის ჩემპიონატი (5.00), ინგლისის პრემიერლიგა (11.00, 21.00), ესპანეთის (23.00), იტალიის (23.20) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *EUROSPORT.* ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (1.00), რალი. მსოფლიო პირველობა (2.15, 4.30).

13 თებერვალი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-II.* სპორტული პროგრამა (19.40), *НТВ плюс футбол.* გერმანიის (13.15), იტალიის (15.00, 23.25), ესპანეთის (17.30), ინგლისის (19.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. არგენტინის საფეხბურთო გეოგრაფია (22.55). *НТВ плюс спорт.* წყალბურთი. თასების მფლობელთა თასი (12.25). კალათბურთი: ნბა (2.25) და ყველა ვარსკვლავთა მატჩი (2.55). *ESPN.* ფეხბურთი: იტალია 1999/2000. მილანი – ბოლონია (10.00, 18.00), ინგლისის პრემიერლიგა (19.30), ესპანეთის ლიგა (22.30). *EUROSPORT.* ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (19.00), ფიგურული ციგურაობა. ევროპის პირველობა (23.30), რალი. მსოფლიო პირველობა (2.15, 4.00).

# შოთა ჩიქობავა



85 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის მოლოდინში, უეცრად გარდაიცვალა რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის უანგარო მსახური, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სენაკის საპატიო მოქალაქე, საჭადრაკო კლუბ „მხედრულის" დირექტორი შოთა იულონის ძე ჩიქობავა.

მისი 60-წლიანი მოღვაწეობა მრავალფეროვანი და განუმეორებელია. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს მუშაობა დაიწყო რკინიგზის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, მაგრამ სპორტულმა შინაგანმა დისციპლინამ თავისი გაიტანა — კარგი ტანმოვარჯიშე გახლდათ. 1942 წელს დაინიშნა რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც მან მთელი 43 წელიწადი იმუშავა. მისი ხელმძღვანელობით რაიონის სპორტულმა ორგანიზაციამ მრავალი სასახელო წარმატება მოიპოვა. რაიონში აღიზარდა არაერთი სახელოვანი სპორტსმენი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის, ევროპის და მსოფლიო სარბიელზე ისახელეს თავი. სპორტის ქურუმმა დიდი ღვაწლი დასდო ჯანმრთელობის კერის „ეგრისის" სპორტული კომპლექსის მშენებლობას, რომლის დირექტორიც თავად იყო 1985-1992 წლებში. მისივე დამსახურებაა შემდგომში უდიდესი ტრადიციების საცხენოსნო კლუბის ჩამოყალიბება, დღენიადაგ ზრუნავდა სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-განმტკიცებაზე.

სპორტის მასობრიობაზე ზრუნვა, ჯანსაღი თაობის აღზრდა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო მისი ფიქრის საგანი.

1992 წლიდან სათავეში ედგა საჭადრაკო კლუბ „მხედრულსა" და რაიონის სპორტულ მუზეუმს. დღევანდელი გადასახედიდან ვაღიარებთ, რომ რაიონის სპორტის ისტორიაში, მან წარუშლელი კვალი დატოვა. ამ უნიკალური პიროვნების ცხოვრებით და მოღვაწეობით სამარადჟამოდ მადლიერი დარჩება ქართული სპორტული საზოგადოებრიობა, მშობლიური რაიონი. შოთა ჩიქობავას ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,**
**სენაკის რაიონის სპორტის კომიტეტი.**

**უდიდესი მწუხარებით შევიტყვეთ საქართველოს სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი უხუცესი მუშაკის, ღვაწლმოსილი და უთვალსაჩინოესი ადამიანის ბატონ შოთა ჩიქობავას გარდაცვალების ცნობა. უდიდესია ამ პიროვნების დამსახურება ქართულ სპორტში. სენაკში მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები, მისი სკოლა გაიარა არაერთმა სახელმწიფო მოღვაწემ თუ სამეურნეო დარგის მაღალჩინოსანმა მუშაკმა.**
**თავს ვხრით ამ ღირსეული კაცის, სამაგალითო მამულიშვილის ხსოვნის წინაშე.**

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოსა და საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდის" სახელით

**ვლადიმერ კანკავა**

**„ლელოს" რედაქცია ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს ათეული წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის უდიდესი მეგობრის, გამოჩენილი სპორტული მოღვაწის**

**შოთა ჩიქობავას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სენაკის რაიონის საზოგადოებრიობას.**



**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში ირაკლი ბიბილეიშვილს მამის, წარსულში გამოჩენილი პარტიულ-სამეურნეო მუშაკის, ქართულ სპორტზე უანგარო მზრუნველის, შესანიშნავი მოქალაქის და მეოჯახის**

**ნიკოლოზ ბიბილეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

# ფიტას რეიტინგით

მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიტა) შარშანდელი შედეგების მიხედვით გამოაქვეყნა 1999 წლის დეკემბრის მსოფლიო რეიტინგლისტი, რომელშიც შევიდა 50 უძლიერესი მშვილდოსანი ქალი და ამდენივე ვაჟი.

ქალთა პირველი სამეული გამოიყურება ასე: 1. ლი ეუნ კიუნგი (კორეა) 186.250 ქ. 2. ალისონ ვილიამსონი (დიდი ბრიტანეთი) 178.600; 3. კიმ ჯო სუნი (კორეა) 171.000.

მსოფლიოს 50 უძლიერესთა შორის არიან ქართველი ამორძალები, 12. ხათუნა ქვრივიშვილი 105.600; 13. ნატო ნასარიძე (გამოდის თურქეთის სახელით) 103.000.

* * *

მშვილდოსნობის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ ამ ზაფხულს, 11-15 ივლისს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართება მსოფლიო უნივერსიადა, სადაც მშვილდოსნობაში საქართველოს სახელს პირველად დაიცავენ აჭარელი სპორტსმენები – ხათუნა ქვრივიშვილი, ასმათ დიასამიძე და ლადო ბოლქვაძე, რომელთა გამგზავრების ხარჯებს ავტონომიური რესპუბლიკა გაიღებს.

## კროსვორდი №12




**თარაზულად:** 3. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი. 4. „ინტერის" ურუგვაელი თავდამსხმელი. 6. უნგრელი დიდოსტატი. 12. „ლივერპულის" ნახევარმცველი. 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 14. იტალიელი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი. 15. „ბარსელონას" ჰოლანდიელი ფეხბურთელი. 16. მსოფლიოს II და XIV საფეხბურთო ჩემპიონატების მასპინძელი. 19. ინგლისის ნაკრების მეკარე 1970 — 90-იან წლებში. 20. „ლაციოს" და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი. 23. არგენტინელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი. 24. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი. 30. რუსი მოჭიდავე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 31. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი. 32. „იუვენტუსის" თავდამსხმელი. 34. ესპანელი ველომრბოლი, ოლიმპიური ჩემპიონი. 35. „ინტერის" მცველი. 39. „პარმას" ბრაზილიელი ფეხბურთელი. 40. სასომხეთის საფეხბურთო კლუბი. 41. ცურვის სტილი. 42. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი. 43. ჰოლანდიელი დიდოსტატი.

**შვეულად:** 1. ცნობილი იტალიელი, მსაჯი ფეხბურთში. 2. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი. 3. იტალიელი თავდამსხმელი, ევროპის 1968 წლის ჩემპიონი. 5. „იუვენტუსის" პრეზიდენტი. 7. ქართველი მოჭიდავე, 1954 და 1957 წლების მსოფლიოს ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში. 8. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 9. „პარმას" მცველი. 10. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი. 11. „ოქროს ბურთის" 1983-85 წლების მფლობელი. 17. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი. 18. 1968 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი ქალი. 21. მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ჰოკით მხტომელი. 22. ამერიკელი სპრინტერი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში. 25. იტალიელი მცველი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი. 26. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 27. ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი. 28. სპორტული შეჯიბრების ჩატარების ფორმა. 29. ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი. 33. ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი. 36. სპორტული ინვენტარი. 37. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი. 38. „ფორმულა-1"-ის გამოჩენილი ფრანგი პილოტი.

### კროსვორდი № 11-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. კრომე, 8. არველაძე, 11. კერპი, 12. იუნიორი, 15. ასპე, 16. არგო, 17. უმბა, 19. ოლიმპიადა, 22. ბლოხინი, 23. ბირჰოფი, 26. გიუტაშვილი, 30. სო, 32. ფანატი, 33. ცაიტნოტი.
**შვეულად:** 2. შერპი, 3. მალდა, 4. შაში, 5. ტერნერი, 6. საპორო, 7. გურია, 9. ველოსიპედი, 10. კეტაშვილი, 13. სენა, 14. ვალენსია, 18. გოგია, 20. დვირი, 21. პაოკი, 24. სიონი, 25. ბლიცი, 27. ტოტო, 28. ვეა, 29. იონი, 30. სეტი, 31. აია.

## საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**
**(სოფ. კარდენახი)**




შამათი 3 სვლაში

**„ლელოს" №10-ში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
1. ლg8! 1. ...fe 2. მf4X.
1. ..კd6 2. მ:c3X. 1. ..მ:e4 2. მc7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.